სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

21/05/2025

MES 1 25 0000554663

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით ჩასატარებელი შეფასების პროცედურების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის, „2025 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 04 მარტის MES 5 25 0000232420 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის N 01-05-04/48 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.საქართველოს ტექნიკურ უნივესიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პერიოდი განისაზღვროს 2025 წლის 21 მაისიდან 20 ივნისის ჩათვლით.
2.საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასება განხორციელდეს შემდეგი ფორმით: მოტივაციური გასაუბრება.

3.საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით შეფასების პროცედურები/მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს №1 დანართის შესაბამისად.
4.დამტკიცდეს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შესარჩევი კომისიების შემადგენლობა №2 დანართის შესაბამისად.
5.დამტკიცდეს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სააპელაციო კომისიების შემადგენლობა №3 დანართის შესაბამისად.
6.დამტკიცდეს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შეფასების პროცედურის ვადები №4 დანართის შესაბამისად.
7.დამტკიცდეს მოტივაციური გასაუბრების და შეფასების ფორმები №5 და № 6 დანართის შესაბამისად.
8.შეფასების კონკრეტული თარიღების და ფორმების შესახებ ინფორმაცია აპლიკანტებს მიეწოდება შეფასების თარიღამდე არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მათ მიერ რეგისტრაციისას მითითებული საკომუნიკაციო საშუალებებით.
9.შეფასებაზე დაიშვება პირი, რომელსაც გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია.
10.საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ აპლიკანტთა შეფასების შედეგები აისახება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა დაევალოს სტუ-ს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზაზა ბუაჩიძეს.
12.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ის ვიცე-რექტორს თამარ წერეთელს.
13.ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.
14.ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
15.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ